

თეატრი

საყოველ-კვირლო ლიტერატურული და მსატკრობითი გაზეთი.

20 ოქტომბერს.

გამოიცემა

№ 9

კვირამდელი

1885 წელსა.

ფასა „თეატრა“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისთანავე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი ცალკე სომკრა „თეატრა“-სა ღირს სამი (3) შაურა. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ, პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში კმ. ჭილაძეების წიგნის მაღა-ზიაში. გორში ს. შვალაძისწიგნობა. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисет, Редакция „Театра“. კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ თეატრის „-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდედ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ქართული
თეატრი



ღმეს, კვირას,
20 ოქტომბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

დროებითი სიევარული

ორ მოქმედებიანი კომედია თ. ლ. შარიაშვილისა.

II

მათიკო

მესამე მოქმედება ა. ცაგარლის დრამადამ.

III

პირველად

ჩამგვიანი საქმის წაახდენს,
ფათერაქს დანაბრადებისა.

მოდვეილი ერთ მოქმედ. გადმოკეთებულია.

ღანაწიანი 8 საათზე.

ქართული თეატრი და ჩვენი მოწინავე დასა.

უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ სასოგადოებაში, ყველა უმაღლესი ჩვენი ინტერესები გამჭრალა და აღზგი დაუთმია გულის მოსრკინილებათათვის. იქ გული—ეს პატროსან გრძნობათა და ღტოლეულებათა ბუდე, გაციებულა და ტვის ბრძანებლობს გუჭი. როგორც სსუობა წარუენილი და სინიდაის მოკლებული მუდამ პატროსნებაზედ დაზარაობს, მსდალი და ჯაბანი გულოკებაზედ, ისე ამნიარ საზოგადოებაში მეტად ცხარედ ბასობენ სამშობლოს სიევარულზედ და სსვა ამნიარ უმაღლესს

საგებზედ, მაგრამ ამ გარეგანი შეკედულებით გვიროს რწმებში მერწმუნეთ—სულ თითო-თითოდ გაიზარებან, იმ დროს რომ ვინმე გამოჩნდეს და შესძახოს: „ემწაწალებო, მკერა თქვენი თავ-განწირულება, თქვენი განმწადავა, ტარებდა შესწირავდა და გთხოვო დღეს ვასშად დვი-ნოს ნუ მიირთმევო და იმის საფასურა იმ კეთილი საქმისთვის გარდასდოთ, რომლის გულისრკინისაც ამ წათში კბილებში ოფლი იდინეთ და მეტად აღტაცებით ვინაღამ სკამები დაამტკნეთ!...“

ამის დასამტკიცებლად ჯილდოთ თუნდა ჩვენი თეატრის საქმე. აბა ჩამოგდეთ სიტუკვა რომელიც გნებავთ, სულ უკანასკნელს ჩვენი, ესრედ წოდებულის, ინტელიგენციის წარმომადგენელს თეატრის მნიშვნელო-

ბასედ და პეტრე მოთმინება გი იქონიეთ უფრო დაუგ-
დოთ.—მაშინ ზნასათ რა მსჭერ-მეტყველობით დაზი-
სტავთ ამ სავანს, რამდენ ნაიბ ზნასედ დასტკვენს.
დაიღაც რომ თუქტოს დიდი და მრავალ-გვარა მინაშენე-
ლობა ჰქვას ჩვენთვის, მაგრამ თვალთ გდავულოთ რა მს-
სვერული მოუტანას ჩვენ სერვისთვის იმ მოწინავე დასს,
რომელსაც გასრად უღვია მძიმე ტვირთი ჩვენას ზო-
გრესას. სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ გავითვას
მაგიერ, ძირეულ ბერი დაუშალეს და უკან დასწავის თუ-
ტრის საქმე იმ ზორთა, რომელნიც ყველა საქმეში ერე-
ვიან, ჩვეულებასდებოთ ჩვენ ჩამოეტმასნენ იმ განმარსებით,
რომ რომელიმე აქტივობა, ასე აქტივისა, რომელითაც
მთ თვისი მოწველების თვალთ გდავულოთ, მღვდა დაე-
ყენებინათ, და დანარჩენები მათ მონა-მორჩაოდ გავმწე-
სებინათ. მათმა გარკვევამ დათვის ჩვენს დრამატული დას-
ში ავლამყალი, უთანხმობა და რამდენიმე საუკეთესო
ნაწი თითქმის სამუდამოდ დაუგარდა ჩვენს სტენას. უმ-
თავრესი მიზეზი ის განსაკავთ, რომ ჩვენი შეთაურება
საკუთარი ცხოვრის საგრძობს მსმინდს იქით არაფერს
ჭნედავენ და ზორცხებსას, და მსერეურს თავმოყვარობას
ამსხვერვლებენ ყოველთვის სასოგადო საქმეს.

გვრცხვინან საქვეყნოდ ვაღვიაროთ, მაგრამ უნდა
მანინ გამომავტუდეთ, რომ ანწრუნა, რომელსაც ჩვენთან
არავითარი კავშირა არა ჰქონდა, რომლისთვისაც ყვე-
ლა ჩვენი საქმე უცხო იყო, უფრო კანტონად და შე-
ღავითით ემურობოდა ჩვენს, ყოვლად დახატულს და
გაჭირებულს დრამატულს დასს, მინამ ჩვენი საკუთარი
ბანკი, რომელიც განდა ზატრონად თუქტრისა და მთლად
ანწრუნის ჭონებისა. როგორც მოგესახეებთ, ჩვენს ბანკს
წესდების ძალით მიზნად ჰქვას მთელი თვისი წლიური
მოგება გაუნაწილოს და მოასმაროს ჩვენს სასოგადო
მოთხოვნილებებს. უმთავრეს ნაწილს თავისი მოგები-
სის ესლა ბანკი ახმარებს, სთავსად-სინაურო სკოლას და
ცოტადდენს გორისა და თელავს საქალბო ხსწავლე-
ბლებს. თუქტრა იმ სასოგადო მოთხოვნილებათა შო-
რის არ არის ხარისხული, რომელსაც შემწეობა ეჭირ-
ვება. ჩემის იფიქრით გი ძირეულ საკამათო საგნად უნდა
ჩაითვალას: რა უფრო სასარგებლო და სასწაოთა ჩვენს
მდგომარეობაში, თუქტრა, თუ ტრანცობისა და მუნი-
ციის გაკეთილები, რომელსაც ჰხმარდება ბანკის ფულები
საქალბო სასწავლელებს გორში და თელავში? შემწეო-
ბის მაგიერად, ჩვენმა ბანკმა ათას ნაირ საფრთხეები აუ-
შენა, ათასნაირი სრავი მოხდო ესლანდელი დრამატუ-
ლის დასის მოთვეთ, რომ როგორმე თუქტრა ამათ
ხელში არ ჩავადნალიყო. მაგრამ მანინ ყველაფერხედ
დაჭეუენ, საბდის წვერება ხელში მანცკს ჩვენს ბანკს,
თუქტრა კარგად ჰგონობდენ რომ მასეში თავები გაუყეს, —
და თუქტრა დაინარჩუნეს. ბანკს ესლა ხელში, უჭირავს

ესლანდელი დასის მოთვეებისაგან 270 მანეთი გირაოთ
და ყველა ნაირი სრავებით შეიარაღებულა განჯრასტა.
თავის მსრით ბანკი არაფერს მოვალეობას არა გასრუ-
ლობს ტრუზის წინაშე. იგივე დამტკვეული მებელი, იგივე
განსუებული და დაგლეულია ფარდისი, იგივე განსუეუ-
ლი დეკორაციები. ერთის შესედვით, სწორედ აუსსნე-
ლდა ჩვენის ბანკის მსრით ესრეთი სასტიკი მოხერობა
ჩვენის ნიჭიერის არტისტების, ურამდებოთაც ქართუ-
ლი თუქტრა შეუძლებელია. მაგრამ თუ არ დავივიწყებთ
სემით წარმოთქმულს აზრს, რომ ჩვენში სასოგადო
საქმეებს ახნელებს შარადობა, მაშინ ყველაფერი გამომავ-
კარავდება. რა ღვაწლი მაუძღვის სამომხლო სტენის წი-
ნაშე ბ. ნებიერიძეს, რომელსაც შარშან იმავე ბანკის
არტ ბეი მოსთხოვა, არტ განდრასტებით შეკრა და ცნო-
ბილს თავის ნიჭით და სტენისთვის თავადებულს არ-
ტისტს ახაშიძეს გი ესრეთი მრუდე თვალთ შეჭხედეს?
ამას ჰსუსს სვეითვე ამოვიოთსავთ.

თუ ეს არა გამარა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ
ჩვენში ქვეყნის და ქვეყნის საქმე იფიქრებოდ ჰქოდათა
მათ, ვინც ყველაწედ მეტს ყვირის საქვეყნო საქმესედ
და მხოლოდ შარადობას მასდევნენ, — ერთს ახ დას თუქტრს
მოვიყვანთ. დღეს, 16 ღვინობისთვეს, გამოვიდა ცელ-
კე წაგზავად შეკრული თბილისის და ქუთაისის ბანკების
განცხადებები და სანიადისის განწმინდად თან გამომყო-
ლეს „ივერია“. ბანკის განცხადებების დაბეჭდვა უფ-
ნაღმა, — მეტე ისიც იმისათნა ყურნაღმა, რომელიც
გამოდის სამ-ოთხ თვეში ერთხელ და სულ რამდენი
ხელის მომწერელი ჰქვას. — მარტო ჩვენში შეიძლება,
სადაც შეთაურობს გამომსარავებული „სტრინიზია“, რო-
მელიც ბანკის წესდებს თუნდა ბორუნდას უხმას, თუნდა
დაბორუნდის. „დროება“ აღარ არის, მაგიერ სომ გამომ-
დას საკვირთა გასეთი თუქტრა, რომელიც უფრო
მეტი ვრცელდება, — რატომ ამ გასეთში არ და-
ბეჭდეს, როდესაც შირ-და-შარი ინტერესები მოგირავ-
ნების თხოულობს და ბანკის წედებს ამათ ეთასნიკებს
იმისათნა შერიოდულს გამომცემში დაიბეჭდოს, რომე-
ლიც უფრო გაწვრცელებულია. მაგრამ, მოგესახეებთ,
გინარს ი... ჰქვიანია კანცია, ყოველთვის უმანერსია
და არც უმტყუნებს ამ შირინცხა: „ლეკის გავარდეს-ჯამ-
ში ჩავარდეთ!“ აგვისტოს ნომერი თავის ჰლეკია ყურ-
ნაღისა რეტომბერში გამომცე: ისიც თვალსაფერიად,
რომ ბანკების განცხადებების გარდა, ცოტა რამ მანც
იყოს წასავითსა, — საკუთრამოელი ბუერა მანსთვას
დაუწერინებთ თვალისა, მუკეკასა მუშინებულისა და
სს. ღოცრება და ნომერი გამომცევა. სწორედ ამანედ
არის ქართულად ნთქქამა: „ვეიცსაც გაკედნი და მამი-
და! ანა ვანსავო.“ მოსერსებულმა კინაშმა განცხადების
ფულებიც ვიბეში ჩაქანა და თავის მე-თხველებთანც

შირნათლად გამოკ და. მართლა და სწორედ შესაღწეა-
გები არიან „ივერიის“ საბრალლო მკითხველები და კნა-
ზა ჭკა...მის ბანკის კლიენტები!

უწიგო არ იქნებოდა, რომ „ივერიის“ რედაქტორს
და ბანკის გამგებელს „უქმურისა“ და „მგლის შირის

ლოცვასთან“. თვით „ივერიისა და ბანკის“ ლოცვაც ჩა-
ერთო. ანა; ბატონებო, თავის აგდება და ქვეყნის მა-
სხარად აგდება შეიძლება, მაგრამ ეს მომეტებულია და
საწყაოს შირს გადმოედინა!

დავით სოსლანი.

ქრიტიკა და ზიზლიოზრაფია

ჩვენ ლიტერატურაზე

(შემაჯავი *).

III

ძველ დროში, თუქცალა მაშინ უფრო
ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები შე-
ხედრია მწერლობის განვითარებას—ლიტერატურა
გექონია. პირველი და უმთავრესი დაბრკოლება მი-
სი, ათასის წლობით, მიუძინებელი ბრძოლა იყო
სხვა და სხვა გარეშე მტრებთან. მსეც არ იყოს, თუ
გულზე ხელს დავიდებთ, უნდა ვსთქვათ მართალი:
არც ჩვენი წინაპარნი ყოფილან მშვიდობის მოყვა-
რენი. თუ როდისმე გარეშე მტერი მოასვენებდა სა-
ქართველოს, მაშინ მიჩვეულნი მოუსვენრობას,
ერთმანერთს დაერევოდნენ ხოლმე. ეს პატარა სა-
ქართველო დასჭრეს და დინაწილეს რამოდენიმე
პერებმა, რომლებიც მეფეებს უწოდებდენ თა-
ვიანთ თავს. მს მეფეები, როგორც შეჭვე-
როდა იმ დროს თავიანთ ინტერესების მეტს
არას დაეძებდენ და ბრმა ხალხი იყო მათის სურ-
ვილის აღსრულების მხვეილი. რასაკვირველია, ამ
გვარი მდგომარეობა მწერლობას ვერ შეუწყობდა
ხელს. რამოდენიმე შთამომავლობა ზედი-ზედ ბრძო-
ლის ბანაკში იზრდებოდა და იქვე კედებოდა. ასე
რომ მაშინ ფიზიკურ ძალას, როგორც ინდივიდუ-
უმისას ეგრევე მთელი ხალხისას უფრო მნიშვნე-
ლობა ჰქონდა, ვიდრე ქვეის გამჭრიახობას. მს ყო-
ველთვის ასეა და ეს მოვლენა შეიძლება ისტორი-
ულ კანონად ჩაითვალოს. რომელიმე ხალხის მსო-
ფლიო ასპარესზე გამოსვლაში, შესამჩნევია სამი
პერიოდი. პირველი პერიოდი—პერიოდი მძლავრო-
ბისა, მამაცობისა და ძალით ანუ იარაღით სამხ-
ღვრების გაფართოებისა; მეორე პერიოდი—პერიო-
დი სამოქალაქო ცხოვრებისა, როდესაც ფიზიკური
ძალა ისვენებს და შრომის ადგილი. დავთმობა ტვინს;

მესამე პერიოდი—პერიოდი ზნეობის დაცემულ-
ბისა, როდესაც მთელ სამეფოს ზარმაცობა-გარყუ-
ნილობის ზეწარი გარდაფარება და ნელ-ნელა ირ-
ღმემა.

ძართველებს, ვინაიდან მტერი არ ასე-
ნებდა, მთლად საძვირფასო მოწასტრებში ინა-
ხებოდა რადგანაც ეს უკანასკნელები უფრო
მოსვენებულნი იყვნენ, თავის მიუღკომლობით
და ხალხისაგან თავ-გაწირული დაცვით. სხვათა შო-
რის ქართული წიგნებიც, როგორც ძვირფასელო-
ბა, იქ ინახებოდა. ბერებსაც უფრო დიდი და ბევრი
დრო ჰქონდათ მწერლობა გაერცელებით. აგრე-
ლებდენ კიდევაც. მაზე არაა საჭირო ბასი თუ
რა ზედ გავლენა ჰქონდათ ბერებს ხალხის ზნეო-
ბაზე და განათლებაზე. ამიტომაც ქართული სა-
ღმრთო ლიტერატურა არ არის მაინცა და მაინც
ღარიბი.

თუ კი როდისმე ხანგრძლივი, კეთილი, მე-
ფობა ხედებოდა, მაგალითად, როგორიც იყო
მეფობა თამარისა, მაშინ მწერლობაც აღორძინე-
ბული, აიდგამდა ფეხს და ქართველი ამტკიცებდა
მას, რომ ბუ იგი ესრედ ადგილზედ არ მოგარდ-
ნილიყო, როგორიც არის ძავეკასია, ყოველი მხრი-
დამ და ყოველი ხალხიდან საკლევჯ-საცევეთად; თუ
მისთვის ბედს ერგუნებია უფრო მყუდრო და მი-
ვარდნილი ადგილი, იგი კაცობრიობის პროგრესში
მიიღებდა შესამჩნევ მონაწილეობას და გონების
გახსნილობაში არ ჩამორჩებოდა დანარჩენ ხალხებს.
ამ გვარი კარგი დრო იყო მეთერთმეტე საუკუნის
მეორე ნაწილიდამ, თვით მეთორმეტე საუკუნის
დამლევაამდე. მაშინ საქართველო შესანიშნავ როლს
თამაშობდა არამც თუ აზიაში, არამედ მაშინდელი
მეროპის ყურადღებაც მიიქცია მან. საქართველოს

*) იხილეთ „თეატრი“ № 3.

კარგად სცნობდა იმ დროის საბერძნეთი და თუ თავის სიკვდილს ხედავდა. ეს უკანასკნელი, პირველის აღმოცენებასაც კარგათ სცნობდა. მაგრამ განგებამ სულ სხვა გვარად იმუშავა. მან გადასწყვიტა ძველი ხალხების აღმოფხვრა, მათ შორის საქართველოისაც, და მათ ნატამალზე ახალი, ძველ ისტორიაში უცნობი ხალხების აღდგინება. ტყვილად არ უწოდებენ მამარის დროს „საქართველოის ოქროს დროთ“. (см. Путешествіе Владикина по Кавказу). ეს დროა, რომელმაც ყოველ გვარ საქმეში იგი ასახელა. მაშინ საქართველოს ჯარი იყო გამარჯვებული გარეშე მტრებზედ, ღიდება და სიამაყე მოკავშირეებისა. მაშინ დღემა არხიტექტურამ, თუმცაღა საბერძნეთილამ იყო იგი გადმოტანილი, მაგრამ თავის ნამდვილი ე. ი. დედანი თუ ჩამოიტოვა უკან, თორემ თვითონ აღარ ჩამორჩენია. ამას გვიმტკიცებს ათასი ნამგვრევები ჩვენს ქვეყანაში ურიცხვად გაფანტული. მაშინ საქართველოს ხელოვნება იყო სამაგალითო. ამ დრომ გვაჩუქა შოთა რუსთველი და შეიძლება მრავალი სხვა მწერალი, რომლებმაც სახელებს და ნაწერებს ჩვენამდე ვერ მოუხწვეიათ.


ძნელად დასაჯერებელია, რუსთველს არ ჰყოლოდეს წინაპრები მოლექსეობის ასპარესზე. ეს ყოველად მოუხერხებელია. შეიძლება მან განათლება მიიღო ბერძნულ—სთინაში; შეიძლება ის ბევრად მაღლა იდგა განათლებით თავის თანამედროეებზე, მაგრამ მოლექსეთა მამათ-მთავრად მას ვერ ჩავთვლით. არ შეიძლება, მის წინადაც არ ყოფილიყოს ლექსი. ისიც შეიძლება რომ რუსთველის ლექსმა მიადწია უკადურეს და მიუბაძვე სიმშვენიერმდღი, მაგრამ რომ მანამდისაც ლექსი უნდა ყოფილიყოს საქართველოში ეს არ არის საეჭვო. ამას ამტკიცებს მართლამიუბაძევი სიმშვენიერე, რუსთველის ლექსისა, რომელიც ერთი კაცის საკმიროდ არასოდეს არ უნდა ჩაითვალოს, მსეც არ იყოს ამას თვით რუსთველი ამტკიცებს თავის წინასიტყვაობაში.

„მოშორე არა ჰქვიან, თუ სადმე ჰსთქვას ერთი ორი; თავი ყოღა ნუ ჰკონია მოლექსეთა კარგთა სწორი. განაღა ჰსთქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი შორი მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო, უცილო ბლოსს, ვითა ჯორი, და სხ.

მამ რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ დანარჩენ მელექსეთა ცხვირში ცემას არა? ამ სიტყვების მედიდურებილამ ისიც უნდა დავინახოთ, რომ თავის პოემით ძლიერ შორს ჩამოიტოვა რუსთველმა დანარჩენი მელექსეები. ის არავის ეგონოს, რომ ჩვენ ესწერდეთ „მეფხვის ტყაოსანის“ გარჩევას. ჩვენ გვინდა ამით ვსთქვათ, რომმა საქართველოში აღრე ლი-

ტერატურა არამც თუ იყო, არამედ ძალაც ჰქონდა. მეფხვის ტყაოსანს გარდა ჩვენგვაქვს მანე უფრო აღრე დაწერილი რომანი „მისრამიანი“, ღიად ძვირფასი. ამ წიგნის გავლენა რუსთველზე ცხადია. „ამირან — დარეჯანიანსაც“ იხსენიებს რუსთველი თავის პოემაში, და რადგანაც ესეთი პოეტის ყურადღება მიუტყვევია ამ წიგნს, უსათუოთ ძვირფასი იქმნება იგი. ამ წიგნს, როგორც სხანს ჩვენამდე მოუღწევია და ვიმედობთ, ხელ-ნაწერილამ იგი დაბეჭდილ წიგნად გამოვა, როგორც გამოვიდა „ვისრამიანი“ ამას წინეთ. ეს ორი წიგნი „მეფხვის ტყაოსანი“ და „მისრამიანი“ (შესახებ „ამირან დარეჯანიანისა“ ჯერ ვერას მოგახსენებთ), შეადგენენ ისრედ საგანძურს, რომლითაც ხალხი უნდა ამაყობდეს. ეს არის მთელი სიმღიდრე. ამ წიგნების მეტი საქირო არ არის, რომ კაცმა საჯო ლიტერატურის სიმდიდრეზე. მინც ამ ორი წიგნის გამოკვლევას და შესწავლას შეუდგება, იგი ცხადად დაინახავს, რომ ეს ორი წიგნი არის ნაყოფი მთელი, ხანგრძლივის და მდიდარი ლიტერატურისა. ამ წიგნების თავილამ ბოლომდე თარგმნად მიღება სირეგვანა. ჰოვლად შეუძლებელია, რომ მათ მამებიც არ ჰყოლოდათ და ბარტყებიცა. რა გავწყობა, რომ მათ ან არ მოუხწვეიათ ჩვენამდე, ან ნაწყვეტებად მოსულან, ან მოსაძებნი არიან. მაშასადამე ძველ საქართველოს ბელეტრისტიკა ჰქონია და, ვგონებ, დროს შედარებით ვერც ერთი ხალხი ვერ შეგვედრება ამ შემთხვევაში. ამას გარდა, არც ფილოსოფიური მეცნიერება უნდა ყოფილიყოს საქართველოში დაეწყებულთ. რუსთველიც იხსენიებს ფილოსოფოსების სახელებს, მაგალითად დიონისს. სხვა ამ დროის მელექსეების ნაწერები, აი თუნდ ჩახრუხასი, ხომ სულ გადაჭრელებულია ფილოსოფოსთა სახელებით. მსეც არ იყვეს ზოგიერთა ბერძენთა ფილოსოფოსები ნათარგმნი იყენენ ჩვენს ენაზე. მაშასადამე ჩვენი ლიტერატურა აღრე მაღალ ფეხსადგურებზე მდგარა: საღმრთო ლიტერატურა, ბელეტრისტიკა, ფილოსოფიური ნაწილი ლიტერატურისა და, თუ მივიღებთ მხედველობაში ძველ კარაბადინებს, მედიკური ლიტერატურაც გვქონია. რა იქმნა ეხლა ესდენი სიმდიდრე? დაიღუპა და დაიკარგა, ბრძოლების დროს; ზოგი ცეცხლს მიეცა, ზოგი, როგორც მოგვითხრობს გადმოცემა, ჩვენის ქვეყნილამ გაიზიდა და ზოგს ძებნა და მოპოება უნდა.

(შემდეგი იქნება)



ფელტონი

ღ ა მ ე

მაწმენდილს ცაზედ მთვარე მიცურავს.
პარსკვლავებთ გუნდი კაშკაშებს—კრთება.
მათი ნათელი არე-მარესა
სიუხვით მორწყავს; მოეფინება.

ცვარი ციური ბალახებს ნამავს:
წვირილ—მარგალიტად ზე დაეყრება.
ნელი ნიავი დაქქრის და ფოთოლთ
ააშრიალებს ებაასება.

წყარო მოცეკვავს, მოითამაშებს;
ხანაც ბუტბუტებს, ხანაც სჩქეფდება...
ბულბული ვარდნარს შეფარებული
ქოკობს დაჰყენისს, თავსა ევლებს.

ხან ჩაკისკისებს, ხან ჩაკაკანებს,
ხან ხმას ამოსკენის; წამს შეჩერდება.
მითქოს ამ ადგილს მას დარჩენია
სულის სიმშვიდე და ნეტარება...

ჰოი, მნათობნო! იბრუნეთ პირი
ტყუილი არი ეგ მზრუნველობა,
როდეს ცხოვრების მიზნათ გამხდარა
აქ ანგარება და ბინძურობა.

მიწავ! გააღე გული უფსკრული
შენვე ჩაჰყლაპე შენი მშვენება!—
თუ რომ კი ნაცვლად პატიოსნების
შენს ზურგზე მეფობს აწ ბოროტება.
რ. ალისუბნელი.



მონარდენი

სადილზედ საშინელი სიჩუმე იყო. სახლის
პატრონი სცდილობდა სიმზიარულე ჩამო-
ეგდო, ლაპარაკის მადაზედ მოეყვანეთ, მაგრამ უთუ-
ოთ ჭამის მადა უფრო ძრილი იყო ჩვენში, რომ ბე-
ჯითად შევექცეოდით ლამაზ-ლამაზ საჭმელებს და თან
ყელს ვისევლებდით ლამაზისავე წითელის ღვინით.
პილასაც მიულოცეს ტოლუმბაშობა, მაგრამ მრავლო-
ბამ ყური არ ააზხოვა იმის ბრძანებას და სადილი აიკრი-
ფა საშინელივე სიჩუმით. შეყრილნი ვიყავით სხვა-და-
სხვა მიმართულების, სხვა-და-სხვა აზრის ქალი და
კაცი და ეს იყო მიზეზი რომ შორი-შორს ვისხედით
და ვათვლიერებდით ერთმანეთს.

შემავრთებელი სავანი მალე გეპოვა მასპინძელ-
მა. ქაის შემდეგ მოგვიტანეს ნარდი და ბანქო; სა-
ზოგადოება ორ ნაწილად გაეიყვნით. მათი უფრო,
ყმაწვილობა, შემოუსხდა რვეალ სტოლს „დურაჩკის“
საცულლუტოდ და მეორე ძველებურს მოზაიკით
მოჭედის და სპარსულის წარწერილებით აქრელე-
ბულს მშვენიერ ნარდის ფიცარს.

— თქვენ გსურთ მეთამაშოდ? თავმოწონე-
ბით გაიღრიქა დაბალ-დაბალმა ჩინოენიკმა და

დარწმუნებულმა რომ თავის მოწინააღმდეგეს
მოუგებს მოტვლეპილ შუბლზე ხელი გადი-
სვა—ძრიელ კარგი, ძრიელ კარგი, კნიაზო, და
კმაყოფილების ღიმდით ნარდის ფიცარს მოუ-
ჯდა.—მითო მანათი და ორი. პირობაზე ხომ თან
ხმა ხართ? ბევრი ხომ არ არის?

— ღიან, დარბაისლურად მიუგო მისმა მო-
პირდაპირემ, თანახმა ვარ, აბა დაეწყეთ.

ორს დიდად განსხვავებულ ტიპს ეკუთვნო-
დნენ ეს ორი ნარდის მოყვარულნი. მათი იყო
უშნო, თავ-ცარიელი, გულით ფლიდი და ჯი-
ბით დიდი არაქელა და მეორე გმირი შეხედუ-
ლობით და გონებით, და გულით საცხე წმინ-
დის ზნეობით, მაგრამ განხრეტლის ჯიბით. პირ-
ველს ნარდი უყვარდა, როგორც მოგების დეთა-
რი და მეორეს, როგორც ბრძოლის ველი.

რასაკვირველია, მაყურებლების სიმპატია მეო-
რესკენ იყო მიქცეული.

ჩინოენიკმა გაიმარჯვა. მოიგო ერთხელ, მოი-
გო ორჯელ, მოიგო სამჯერ. არაქელას სიამაყე-
მოემატა. ტრახანი ამრავლა, კმაყოფილების ნიშნად
ხელების ფშვენტა იწყო. „ღავ, დავბასე, დავბაჩა,
დავბაფან...“ გაისმოდა ყოველ წამს.

მაყურებლები უფრო ახლო მიუსხდნენ დამარცხებულს და თვისის სიახლოვით თითქო ძალას აძლევდნენ საბრძოლველად, ის კი წყნარად, დარბაისლურად გადადიოდა კამათელს და შუბლსაც არ იწკრევდა იმ საგრძნობელ წაგებაზედ, რომელიც ჩვენ ძრიელ გვაწუხებდა.

„ღუშაში კამათელო, აბა შენებურად, ჩემო კამათელო“. დასკყავლა არაქელამ და ოქროს — მოყვარულობით კბილები აკრაქუნა, სიტკბოების ნერწყვებს ჰყლაბა.

მეორე კი იღიმებდა და კამათელს წყნარად აგორებდა.

აბა კნიაზ, ჩემთან თამაშს რად ნებულებდი, „კლუბში“ ერთი ვერცინ გაბედამს ჩემს გაჯობრებას. მის გინდა, კნიაზჯან, ვაფათაოდ, მე არ მინდა გაკატრო.

მანიაში წელში გასწორდა. სახეზედ ოღნაე სიწითლემ გადაჰკრა, თვალბში უკმაყოფილების აღმა გაუელვა.

შეებ ბედის ჩარხი დატრიალდა. მოგებამ მხარი იცვალა. არაქელა დაწყნარდა. პირს შხამი გადაედინა. თვალბში სიშურით უწყო ცქერა.

მოგება მეორეს მხრიდ გაგრძელდა და გაუთავებელი შეიქმნა. ტრაბახა მონარდე ორად მოიკუნტა, თავი ჩაღუნა, შუბლზედ ცივი ოფლი წამოაღდა. ტრაბახა ენა მთლად ჩაუფარდა. საცოდავი იყო იმის მთლად დამარცხებული, მოკუნტული არაქელა.

მეორე კი ისევ ტკბილად იღიმებდა და კამათელს წყნარად აგორებდა. მაყურებლები უფრო მიუახლოვდით ჩვენ „სიმბატიეს“ და სრულის თანაგრძნობით უყურებდით მის გამარჯვებას.

— მა, ეს რა მამდის? რა შემართება? ვინ დამლახვრა, გულის წუზილით აქეთ-იქით იხედებოდა საბრალლო არაქელა და ქრელი აბრაშუმის ხელსახოცით ცივ ოფლს იწმენდა.

„მცი-და-ხუთი, სამი თუმანი, სამ-ნახევარი, ოთხი-ოთხს — ნახევარი, ხუთი...“ გაისმოდა მაყურებლებისაგან არჩილის მოგების თელა.

არაქელა თრთოდა და კნიაზი იღიმებდა. „ქქესი თუმანი...“

— ძმარა... დავისვენოთ... ალაგი ვიცვალო, თითქმის ტირილით სთქვა საცოდავმა მონარდემ და საჩქაროდ კარზედ გავარდა.

ჩვენ სიცილი წა გვსქდა. ბატონო, ვეუბნებოდით არჩილს, თუ აგრე ადვილად შეგვძლო მავის გაქცევა რად იწუხებდით თავს იმის ლაყობით?

— უნდა მოგახსენოდ, მოგვიგო იმან, რომ

მე ნარდი მიყვარს სულელურის სიყვარულად და თუ მარჯვე მოპირდაპირე შემეყრება სიამოვნებით ვთამაშობ კიდევ, ზოგჯერ, გატაცებითაც, თუ რასაკვირველია, როგორც მოგახსენეთ, მარჯვე მოპირდაპირე შემხვდა. მე როგორც გამიგონი და როგორც თითონაც იკვებდა ეგ აქ პირველ მონარდეთ ითვლება. მაგრამ პირველ კამათლისეე გავორებაში შევატყე, რომ ჩვენში თანასწორი თამაშაბა არ იქნება და საბელი მიტუვი. მაგრამ რა კი კვება ტრაბახზე შეცვალა და ტრაბახი დაცინვის კილომდინ აიყვანა, მე მხოლოდ დაეწიე. მე რა მაფიქრებინებდა, რომ აგრე მალე შეკრებოდა.

— აბა, კნიაზ, ახლა თქვენ აქეთ მხარეს დაბადანი. „წითლებს“ ახლა მე ავიყვან, „შავებმა“ ხო არ დამძახნეს.

— თქვენი ნებაა, საილაც გნებავსთ იქით დაბადნით, წყნარად მიუგო არჩილმა და გაავორა კამათელი.

ნარდის თამაში სულ შეიცვალა. წინად იყო ბრძოლა და მის შედეგი, დამარცხება. მხლა მხოლოდ წყნარი, განძრახ უკან დაბრუნება (ანუ ჩუქება) იწინაგებისა. არჩილმა თამაშს თავი მიანება და უკულოდ ნარდის კაცებს გადას-გადმოსმიდა. არაქელა კარგად გრძნობდა არჩილის გულუხვობას და მოწიწებით სარგებლობდა ხელში მიცემულს მოგებით და თანაც არ ირცხვენდა და ზედ უმატებდა დაე, დავბასე, დავბაჩა და სხვ.

— ღიახ, ღიახ ღიმილით უბასუხებდა ჩინოვნიკს თავადი და აგებდა. მაყურებლებიც მოვიშალენით, თამაშის ყურების აზრი აღარ ჰქონდა და ავიშალენით.

— მოიცადეთ, მოიცადეთ, კანკალათ, გვეხვეწებოდა არაქელა. ჯერ კიდევ ბევრსა ვარ წაგებას.

— ნუ სწუხართ ბატონო, წინაგებზედ. პი დანარჩენი ოცდა ხუთიც, ბაღლო თქვენთან, და კამთლები გადაუწყო არაქელას.

გვ. გაბაშვილისა.

თეატრი და მსახიობნი (ჩქტოარქები)

ქველი, საშეალო და ახალი დროისა

(შემდეგი *).

ტალიელებს სამედილი დრამატული წარმოდგენები აზა ქქონათ მე თსუთმეტე საუკუნემდას; სამაგიეროთ იმთ იტოდნენ სასულიერო ღიტანისებას და დღესასწაულების გამართვა. სასულიერო შიკსები

) იხილე «თეატრი» № 8.

მეთოთმეტე საუკუნის (representacioni) გაცს ჰკვირ-
 ვებენ მ. შიკებისა ვაი მოძრაობით, ცეკვის, ტურნირების
 და ბრძოლების სამრავლოთ. ამ ზეისებს თამაშობდნენ
 საუდრებში და კერძო სასახლებში. ყველა ეს სდებოდა
 ფლორენციისა და მათ ჰმატრონობდა განათლებული
 ოჯახის მედიკოსისა. საუკეთესო მხატვრები სტავდნენ
 დეკორაციებს და ტანისაცმელს; მათემატიკოსები ჰკეთებ-
 დნენ მ. შიკებს; უზარველესი სახელმწიფოს კაცნი სამო-
 ვნებით აძლევდნენ სარუს სავაზრებო სანასავებისთვის.
 ზეისების შინაარსის ამსხველი ლობიტები შეიკობილნი
 იყენენ მშვენიერი ვინიტებებით და ჩინებულად დაბეჭდილნი.

სასულიერო ღიტიანები და სხვა სანასავები ზორ-
 ტუგადაცში, რასაკვირველათ, მეთოთმეტე საუკუნემდი-
 სიც არსებობდნენ, მაგრამ იმთხედ თითქმის არავითარი
 ცნობა არ არის დარჩენილი. მეფე ალფონსისა და სპა-
 რს სამართალთა ვერბულში (1260 წ.) მოხსენებულია
 ერთ-გვარ სავაზრებო თხზულებებსე, სახელად juegos
 per esarniu, და იქვე ნათქვამია, რომ ვლერებს შე-
 უძლიათ სასულიერო ზეისების წარმოდგენა, მაგრამ უთუ-
 ოთ ქალქებშია. ყველა დღესასწაულებში, რომლებიც
 იმართებოდნენ მეფეთა ჰატეისცემად, ყველაზე შესანი-
 შნავი იყო 1461 წლისა. გამართული იყო სპა მოძრავი
 კონტინტრიული სიმტველე, რომელიც ჰსტავდა სამო-
 თისეს, ანათებდნენ ბენდილის ცეცხლით და მსში სხან-
 დნენ მეფეები, წინასწარმტველნი და მართაღნი.

ინგლისელების დრამატული ზეისების სელოსწე-
 რებს სამშობლო ესრე მსოლოდ მეთოთმეტე საუკუნე-
 ში შესვდებით. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 1338 წლამ-
 დის, ე. ი. ედუარდ III მეფობამდის, ირანული ესა,
 შეტანილი ინგლისში ვილჰელმ დამურბოელისაგან, იყო
 მთავარ ესად წარჩინებული ინგლისის საზოგადოებისა.
 მასტრების მეთოთმეტე საუკუნეში ადგენდნენ ქარხ-
 ნებში მუშა ხალხსა, რომელთაც ჰქონდათ ამსანავობა.
 ყოველ ამსანავობას ჰქონდა თითო მოძრავი ოთს-თვა-
 ლისი თეატრი, რომელშიაც იყო ორი ოთასი: ჰვევით
 იყო სპირისფერულო და ზევით სტენს. ეს თეატრი დაჰ-
 ქონდა ხალხს და ჰატარა იყო; მსულთსათხვე საყვირო
 აცნობებდა წარმოდგენის გამართვას. ჩვენ დრომდის
 შენასულა ერთი საბუთას წარიღი მეთოთმეტე საუკუ-
 ნისა, რომელშიაც მოყვნილია ანჯარაში ერთი მასტე-
 რისა. აქ მ. შიკების, ტანისაცმელის და სხვა სარჯის
 გვერდით მოხსენებულია მსახობთა შესწავლის სარჯიც
 რეპეტაციებს. ღროს. როგორც იმავე წერილიდამ სხსნს
 სხვა ტანისაცმითა და თეატრალურ კეთილილებთა შო-
 რის იმათ ჰქონათ: შესამოსი და ჰქუდაბა შავი ტუვისა
 მტარჯალათვის, ორი მიტრა კაბავა და ანსასთვის,
 ექვსი ტუვი, წველდა ეშმავისათვის, რგინის ხაჩქნი ირ-
 დასათვის.

1486 წელში ინგლისის სელმწიფეთა კარზე დაბ-
 სდა მეფის დასი; გარდა ამისა კიდევ იყენენ დასნი, გერ-
 ცოგი ბუენგემისა და ოქსფორდას და ნორტუემბერგან-
 დის გრაფებისა; ყველა ეს დასნი სანდისის თამაშობ-
 დნენ მეფის დასწრებით. მეთოთმეტე საუკუნის წარმო-
 დგენებში მუსიკალურს მხარეს კისრულბდნენ მინასტ-
 რელები.

ნეიტების მესტრსენგებებს ისეთივე მნიშვნელო-
 ბა ჰქონდათ, როგორც საფრანგეთში ტრუეებებს; მა-
 გრამ ზირველების ამსანავობა განირჩეოდა მეორეთაგან
 უფრო კარგი განწეობილობით. ნეიტების მომღერლება
 კომან. ლეობდნენ ყველა კანონებს, წესებს ამსანავობი-
 სის და დასწავენი ისეობდნენ. ყველა წევრი ამ საზო-
 გადოებისა ე. ი. მსახობი, გარდა თავის დანიშნულე-
 ბისა სწავლობდა რომელსამე სელობას და ეს სრულიად
 არ უშლიდა მათ სელს ღიტრატურის ან მუსიკის შეს-
 წავას. ყოველ საზოგადოებას ჰქონდა თავისი სეოლა,
 რომელიც მოიერთდა სოლმე თავს ტრასტორში, დღე-
 სასწაულებში ვა—ეკლესიებში. სპა მსწავლებელი (Mer-
 ker) მადლობ ადგილიდამ უსწორებდნენ მოსწავლეებს
 შეცდომებს; განსკუთრებითი ყურადღება მიქცეული ჰქონ-
 დათ ლათინურს და სამშობლო ესას, გამთქმის სასუ-
 ფთავებს და სისწორეს და საფუკელისად სეულის და
 ღექსთა—თხზულების ცოდნას. ვინც ყველა ეს კარავდა
 არ იცოდა, იმათ მოსწავლეებდ ადარებდნენ, და ვინც
 ვა კარავდა იცოდა—შეოლას მეგობრად. ზოტად ღიი-
 რებდნენ იმათ ვინც შეიძლება რომელამე მუსიკალურ
 ტემპზე ღექსის დაწერას; მსწავლებლებდ (Meisrer) ნი-
 შნადნენ მათ ვისაც შეეძლო მუსიკის და სატყეების
 დაწერა ერთად. მსწავლებლთა ნაწარმოებებს აფასებდნენ
 ამორჩეულნი ჰარნი და სანდისსა ზეტორებს ჰვიდლო-
 ებდნენ კადეც; ზირველი ვვიდლო იყო ვერცხლის ვაჭვი
 მქაღლიონით, მეფე დავითის სურათით, მეორე—უბრა-
 ლო გვირგვინით.

(შემდეგი ოქება).

ნ ა რ ე გ ი

როდისა ვართ ბედნიერი?

- როცა «მწიგნობარი არა დურგლობს და დურგალი არ მწიგნობრობს, შინაური არა გვეტრობს და გარეჯანი არ გვეკობრობს.
- როცა «ჩვენი უურსაღ-გასკოები ზირდობას ვვალად ჰქმობენ და ჩვენს მრავალ საზოგადო საქმეებსედ—ბასობენ.

როცა **ე. ბ. შიშ** გაცხეთს აღარა აქვს
 ორი ყბა და ორი ჰინი
 და სიყუანად არ სჭირდება
 არც ფანხა და არც „პლასტიკი“.

როცა **ჩხეჩხი** დასის არტისტები
 სადას სადასით სავსეს ჰგონობენ
 და უოკელოთის თამაშის დროს
 დევიციტსე არ აუიჭრობენ.

როცა **წყურ-კითხვის** გამკვებლები
 ხაღსს ასწავლის წყურ-კითხვას
 და თავად ამბობენ
 ქვეყნისგან დანმდგ-კიცხვას.

როცა **ასაღვანდე**ს წინსდელად
 უნობათებს კვლავ **ჩნობთა**
 და აწ აღარ ეჩვენება
 ზრასკვეთ მას შაბთი.

როცა **ჩხეჩხი** ზანტი იკვირება
 ცოტა უფრო გაცხადება
 და სიდიდით ვერ აჯობებს
 აწ მას მხანის განცხადება.

როცა **ქსელავ** თაკად-ზნაურთა
 სკოლას, რომ წინ წაწეულა
 და ბეჭეების უფრო უღეთოდ
 იქ კვლავ აღარ ასეულა.

ქალი უნდა იყოს ნასწავლი და არა ჭკვიანი.
 * * *
 რამდენსამე საათს ქალთან ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე სიტყვას გაიმეორებ რამდენჯერმე.
 * * *
 ჭკვიანს კაცს ქალის წყრომის არ ეშინიან, და ასევე უფრო ჭკვიანია ის ვინც ამ წყრომას ერიდება.
 * * *
 შეყვარებული ქალის გული არის ოქროს ტაძარი, რომელშიც შედგება... თინის კერძი.
 * * *
 სიყვარული იგივე ყვავილია (ავთმყოფობა): რამდენათაც გვიან შეგზვდება, იმდენად საშუა.
 * * *
 ლამაზ ქალთან ყმაწვილი კაცი წყნარს მდიდარს ჰგავს, მოხუცი კი — უსვინიღისო მზობარს.
 * * *
 თუ ქალისათვის ცუდი გინდა, ნება მიეცი მას იმიტომის სე, როგორც თვითონა ჰსურს.
 * * *
 ქალი რომ სიბერეში შევა... ქალს მაშინ უმეჯობრდება.
 * * *
 ქალი, რომელიც ხშირად წითლდება... ნაცლია.

„თეატრის“ ფოსტა.

თელავი ი. ვ. — ნაქეს. თქვენ, ბატონო, ქერა ქალის ეშხს მოუცახინართ და მოგდომნით „მოხვეცნა წელისა მის ხარნარ მსუქან ჯანისა!“
 თუ საწყინოდ არ დაგჩუბათ, ძირულ გარყვნილი გემოვნება ამ გვარი ლექსი. ნარნარი და მსუქანი ისე არ ითქმის ერთად, როგორც არ ითქმის:
 მე მზერა მინდა:
 ერთის სუფელი თავისა
 და სიბრძნით სავსე სახისა...

სპარსული აზორიზმები

ქალმა რომ ათასი ბოლოვ-მოქმედებაც ჩაიღინოს, მაინც არ შეიძლება მისი ცემა... ვარდიოაც ქალის ცემა ჰგავს ფშვილით სავსე ტომრის ბერტყას: რაც ვარგია ხელიდან წავა, უვარგისი კი დარჩება, (ე. ი. ფშვილს ქარი წაიღებს, ქატოს დასტოვებს.
 * * *
 ქალი ემსგავსება კაცის აჩრდილს; თუ გაიყიდე-გაბამეცავა და თუ გაიყეცი თან მოგსდევს.
 * * *

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

გაცხეთი „თეატრის“ ფასი
 სექტემბრიდან იანვრამდე — 2 მანათი.
 რედაქციის ადრესი: Базарная улица, донъ Тамамшевой, № 16.

სადგომი წერა-კითხვის გაგავრცელებული საზოგადოებისა ქართველთა შორის გადატანილ იქმნა მიხეილის ქუჩიდან განბანის შესაბრუნვად (Банковскій переулокъ).
 (2—3)